დღევანდელი კვერცხი, თუ ხვალინდელი ქათამი?

(ვუძღვნი ამერ-იმერ თავად-აზნაურობასა)

(1899 წელი, გაზეთი „ივერია“ #41-42)

იყო დრო, როდესაც ქართველი თავისს ცხოვრებაში მისდევდა ანდაზას: დღევანდელი კვერცხი მირჩევნიან ხვალინდელს ქათამსაო. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ქართველმა არ იცოდა, მეორე დღეს ცოცხალი გამოიღვიძებდა თუ მას საიქიოს გაამგზავრებდნენ ან ლეკები ან სპარსელები ან თურქები და სხვა მტრები, და დაიჩემებდნენ მთელს მისს სარჩო-საბადებელს. მაშინდელს დროში მხოლოდ დღევანდელი დღე ეკუთვნოდა ქართველს, ხვალინდელი კი სხვის ხელში იყო, და რად უნდა გვიკვირდეს, თუ ძველი ქართველი დღევანდელს მცირე სიამოვნებას ამჯობინებდა ხვალინდელს დიდ სიკეთესა, დღევანდელი კვერცხი ერჩივნა ხვალინდელს ქათამს. როდესაც ამისთანა უდიერი მდგომარეობა ხშირია და ხანგრძლივი, რომელსამე ერის ისტორიულს ცხოვრებაში, ეს ერი არ შეიძლება არ გადაეჩვიოს ზრუნვას ხვალინდელის დღისათვის, არ იცხოვროს მხოლოდ დღევანდელი წამით, არ მიეჩვიოს დაუდევრობას, დაუზოგველობას, ბედოვლათობას. სწორედ ამ გვარს მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო მეცამეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის დაწყებამდე და კი ამიტომ გაგვიჯდა ძვალსა და რბილში ქართველობას უზრუნველობა მომავალზე და მონაობა წუთიერი სიამოვნების წინაშე.

დრონი იცვალნენ და ახლა ჩვენ აღარ გვაწუხებენ უწინდელი გარეშე მტრები; მაგრამ ჩვენ-კი უცვლელად ვრჩებით. მიზეზნი გაქრნენ, შედეგი კი ისევ არსებობს და ჰმოქმედებს; სათავე ავადმყოფობისა დაშრა, მაგრამ სენი კი ისევ შეგვრჩა და გვაწუხებს. ხვალინდელი და ზეგინდელი დღე ახლა სავსებით ჩვენს ხელშია; მაგრამ ისე -კი ვიქცევით თითქო იგი უწინდებურად სხვის ხელში იყოს, თითქო ხვალ გამოღვიძების იმედი არა გვქონდეს, დღესაც, როგორც ძველს დროში, ვამჯობინებთ დღევანდელს კვერცხს ხვალინდელს ქათამსა, და აი სწორედ აქ არის ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი სიღარიბისა.

დროა შევიგნოთ ჟამთა ცვლილებანი, ჩვენც შევიცვალნეთ შესაფერად და დავადგეთ იმ გზას, რომელსაც ადგია ყოველი საღი და მომავლიანი ერი. დროა აწინდელის წამის მაგიერ გავამეფოთ ჩვენს ცხოვრებაში პრინციპი მომავლისა, პატარა დღევანდელს სიამოვნებას ვამჯობინოთ ყოველთვის ხვალინდელი დიდი სიკეთე, ხსენებული ქართული ანდაზა წაღმა მოვაბრუნოთ და შევცვალოთ სიტყვითა და საქმით ასე: ხვალინდელი ქათამი მირჩევნიან დღევანდელს კვერცხსაო.

სწორედ ამ დედა აზრით უნდა განიზომოს და გადაიჭრას ერთი საზოგადო საკითხი, რომლის შესახებ ამ ჟამად დიდი ბაასია გამართული ქართველს საზოგადოებასა და ლიტერატურაში და რომელიც მდგომარეობს შემდეგში: რაგვარი მოხმარება უფრო სასარგებლო იქნება ქართველი თავად-აზნაურობისათვის და ქვეყნისათვის იმ თანხისა, რომელიც ამ ცოტა ხანში დაუბრუნდებათ უკანვე სააზნაურო ბანკიდგან მის დამფუძნებელთ.

რამდენადაც ჩვენ ვიცით, დამფუძნებელთა რიცხვი აღემატება 2000 ოჯახსა, ანუ 10,000 სულსა, ხოლო მისაღები ფული უდრის 100,000 მანეთსა. ეს ფული ერთს რომელსამე სამერმისო, საშვილი-შვილო საქმეზედ მოხმარებული დიდს ნაყოფს, დიდს სიკეთეს მოუტანს თავად აზნაურობას და ქვეყანას. ათიათასად-კი დანაწინებული და დაფხვნილი, გაწყალდება და გაქრება, როგორც შარშანდელი თოვლი და ბევრი-ბევრი თუ წამის სიამოვნებას გამოაცდევინებს პატრონებსა.

საზოგადო მოთხოვნილება ჩვენს თავად-აზნაურობას ბევრი აქვს, ბევრი წოდებრივი ნაკლულევანება აწუხებს, ბევრი დაბრკოლება ეღობება გზაზედ. რომელ საზოგადო ნაკლს უნდა დაედოს ეს ფული წამლად?

ჩვენა გვგონია, რომ აქ არც ბევრი ფიქრი უნდა და არც ბევრი ბაასი. იმაზე უკეთესს საზოგადოებრივს დანიშნულებას, რომელიც ჰქონდა ამ თანხას დღემდინ, ჩვენ ვერ მოვიგონებთ და ვერ დავასახელებთ. ამ თანხის სარგებელი, როგორც ყველამ უწყის, ყოველ წლივ იხარჯებოდა მოზარდის თაობის სასწავლებლად და აღსაზრდელად. ეს თანხა მთელის ოცის წლის განმავლობაში შეადგენდა ნება ყოფილობითს შეწირულებას, რომელსაც მეტად სანაქებო და სასიქადულო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა: დახმარებოდა სინათლის მოფენას ჩვენს ქვეყანაში.

არა გვგონია, რომ თავად-აზნაურობას დღეს ნაკლებად უჭირდეს სწავლა-განათლება, ვიდრე იგი უჭირდა გუშინ და გუშინ წინ. პირიქით, გუშინდელზე ბევრად მეტი ზრუნვა მატებს ამ მხრივ. თუ ჩვენი მეზობელნი წინად ხარებით მიდიოდნენ განათლების გზაზედ, ახლა ცხენებით მიქროლავენ, და ჩვენმა აზნაურობამ რომ ურმის ტაატით იაროს უწინდებურად, უფრო დიდ მანძილზედ დარჩება უკან და მთლად გაირიყება. ამიტომ ბანკიდგან მისაღები ფული მისმა დამფუძნებლებმა უნდა მიუცილებლად მოახმარონ ფეხის აჩქარებას სწავლა-განათლებაში.

მაგრამ მოხმარებაც არის და მოხმარებაც. დიდი ფული კაცმა შეიძლება ისე უხერხულად და უხეიროდ დახარჯოს კარგს საქმეზედაც, რომ პატარა სარგებელი ნახოს; ისიც შეიძლება, პატარა ფულით დიდს სიკეთეს ეწიოს. უნდა ყოველთვის

გვახსოვდეს, რომ ქართველები ღარიბნი ვართ ფულით, მდიდარნი დაუკმაყოფილებელის მოთხოვნილებით, ნაკლებულობით. ჩვენ მაშინ გამოვალთ გაჭირვებულ მდგომარეობიდგან, როდესაც პატარა ფულს ისე ოსტატურად მოვიხმარებთ, რომ დიდი ნაყოფი მოვიმკოთ.

ქართველ თავად-აზნაურობას აქვს თავისი საკუთარი და ძვირფასი დაწესებულება - სააზნაურო სკოლა, რომელიც ახლავე შესდგება თერთმეტი კლასიდგან, თუ პარალელურ განყოფილებებს სათვალავში არ ჩავაგდებთ. ამ სკოლაში სწავლობს ექვსასამდე ქართველი ყმაწვილი. სკოლას არა აქვს დღემდე თავისი საკუთარი და შესაბამი შენობა და ამის გამო შევიწროებულს მდგომარეობაში არის ყოველ მხრივ. რათა ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ყმაწვილებისა დაადგეს ჯეროვანს გზას და ამ ქართველმა დაწესებულებამ მოიტანოს ის დიდი სიკეთე, რომელიც მისგან მოსალოდნელია, მიუცილებლად საჭიროა საკუთარი სახლი, აგებული თანახმად ახლანდელის ჰიგიენისა და პედაგოგიისა.

ამისთანა სახლის აშენებას გზაზედ ეღობება მხოლოდ ერთადერთი მიზეზი - ფულის უქონლობა. ეს მიზეზი თითქმის უძლეველი იქნებოდა, რომ ფულის ჩუქების გარედ ხსნა არ იყოს. მაგრამ ეს არ არის. აქ სრულიად საკმარისია დროებითი სესხი. ნასესხების ფულით სკოლის სახლი აშენდება, დაგირავდება ბანკში და მასესხებლებს ისევ უკან დაუბრუნდებათ თავისი საკუთარი ფული.

ამ გამსესხებლის როლი უნდა იკისრონ სააზნაურო ბანკის დამფუძნებელთ, რომელნიც უკან მიიღებენ რიცხვებით 100,000 მანეთს ფულსა. ეს ფული საკმარისია სკოლის სახლის შავად აგებისათვის, რომლის შემდეგ სახლს ყოველი ბანკი მიიღებს გირაოდ, და დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ დამფუძნებელთ მათი თანხა. ეს პირველი სიკეთე იქნება.

მაგრამ, უფრო დიდს სიკეთეს შესძღვნის თავად-აზნაურობას ხსენებული ფული, თუ იგი სახლის აშენების უკვდავ თანხით დაიდება იმ აზრითა და პირობით, რომ მისის სარგებლით ყოველ წლივ იზრდებოდნენ სტიპენდიატებათ ნიჭიერნი და ღარიბნი ჩვენის ქვეყნისანი. მაგრამ სად? ამისთანა სასწავლებლებში, რომელთაც შეუძლიათ გამოუზარდონ ჩვენს ქვეყანას ა ხ ა ლ ი ტ ი პ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი.

საქმე ის გახლავთ, რომ ახლანდელი ტიპი განათლებულის ქართველებისა ძალიან მდარე არის. მათ აკლიათ გონებრივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი, მხნეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთად - ერთი საქმე - კანცელარიაში სამსახური, ოფიციალურ ქაღალდების წერა, მოხელეობა, „ჩინოვნიკობა“. მაგრამ ბალა ეს არის, რომ ეს „ჩინოვნიკობაც“ ბოლოს წლებში

დაემსგავსა იმ მაღლა დაკიდულს ძეხვებს, რომელსაც მშიერი კატა ვერა სწვდებოდა. სამს ქართველში ერთი ძლივსღა ეღირსება ხოლმე კანცელარიის შუშაბანდში ადგილის შოვნას. უმეტესობა ამ შუშაბანდის გარედ რჩება, და რადგან მხოლოდ იმ შუშაბანდისათვის არის მომზადებული, ვარდება საცოდავს მდგომარეობაში და ... ხშირად თავისს ჯავრსა ყრილობს ქართულის ლიტერატურის საწყალ მკითხველებზედ, რომელთათვის აცხობს ცარიელ-ტარიელ წერილებსა.

თუმცა ბლომად გვყავს აღზდილნი ჩვენში, რუსეთში, საფრანგეთსა და გერმანიაშიაც; მაგრამ აქამდინ არც ერთს არ გამოუჩენია იმდენი ცხოველი ცოდნა და უნარი, რომ გაეკვლია ახალი გზა და ეჩვენებინა საქმით, მაგალითით რა ნაირად უნდა იმოქმედოს ნასწავლმა ქართველმა, რომ თავი დაახწიოს კანცელარიის ყმობას, გახდეს ბატონი ჩვენის მდიდარის ბუნებისა, გადააქციოს დაშრობელ წყაროდ ქონებისა და იცხოვროს ღირსეულად, დამოუკიდებლად და სასარგებლო ქვეყნისათვის.

მაგრამ განა ქვეყანაზედ ამ ჟამად მოიპოვება სკოლა, რომელსაც შეუძლია ამისთანა ღირსეულნი შვილნი აღგვიზარდონ? დიახ, მოიპოვება. სულ თხუთმეტი წელიწადი არ იქნება, რაც ინგლისმა შექმნა ახალის ტიპის სკოლა, რომელშიაც განახორციელა სავსებით ძველთა ბერძენთა ნატვრა: ს ა ღ ი ს უ ლ ი ს ა ღ ს ხ ე უ ლ შ ი ო. ეს ახალის ტიპის სკოლა საოცარის ოსტატობითა და სიადვილით უმდიდრებს მოწაფეებს გონებას ნამდვილ კონკრეტულისა და ცოცხალის ცოდნის, ასწავლის ზედმიწევნით ბუნების ძალთა მოხმარებას, გულს უვსებს მაღალის ადამიანური გრძნობებით, ანიჭებს მტკიცე ხასიათსა, ზრდის მასში თაოსნობას, უნარსა, თავისის თავისს იმედსა, თავაზიანობას, დარბაისლობას და ამზადებს სულითა და ხორცით საღს ადამიანებს, შეუპოვარ მეომართ ბუნებისა და უკუღმართის ცხოვრების წინააღმდეგ. ეს ნაყოფი ინგლისურის სკოლისა იმდენად ცხადია ახლა ყველასათვის, რომ თვით საფრანგეთითგან და გერმანიითგან პედაგოგები თავისს შვილებს სასწავლებლად ბოლოს წლებში ინგლისში ჰგზავნიან. თუ გნებავთ შეიტყოთ რა პროგრამით და სისტემით, რა მოწყობილობით მოაქვს ინგლისის სკოლას ამისთანა ბრწყინვალე ნაყოფი, სხვათა შორის, მოიპოვეთ წიგნი პობედონოსცევისა (Новая школа), გადაიკითხეთ გულ-დიდებით და შეიტყობთ ყოველ გარემოებას ამ საიდუმლოისას.

აი რა გვარს სკოლებში უნდა გამოზარდონ სტიპენდიანტები, თუ გვინდა რომ იგინი გამოვიდნენ სწორედ ღირსეულნი ადამიანები ყოველ მხრით და შეეძლოთ ახალი სახემძღვანელო პრინციპები დაამყარონ ჩვენს ცხოვრებაში, ახალი მიმართულება შეიტანონ ჩვენს საზოგადოებრივს სკოლებში და ახალი ხანა დაუყენონ

ჩვენს სამშობლოს. ფული, რასაკვირველია, მეტი წავა ამ ახალის ტიპის ქართველების გამოზრდაზედ, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაყოფსაც, სარგებლობასაც შეუდარებელს მივიღებთ. ამ აღმატებული სარგებლობის უტყუარი თავდები ის გახლავთ, რომ ინგლისის ეხლანდელს დროში პირველი ქვეყანაა, ყველა ქვეყანაზედ ბევრით დაწინაურებული, არა მარტო სამაგალითო სწავლის სისტემით, არამედ ყოველ მხრივ და მის უპირატესობას ერთ-ხმივ აღიარებენ თვით დაწინაურებულთა ერთა წარმომადგენელნი: განათლებულნი ფრანციელნი და გერმანელნი. ევროპიულს ენებზედ ამ ჟამად ამისთანა თხზულებებიც კი გამოდის: რისგან წარმოსდგება უაღრესობა და უპირველესობა ინგლისელთა ტომისაო? ამისთანა აყვავებულს ქვეყანაში ცხოვრება და სწავლა ქართველი ყმაწვილებისა რამდენიმე წლის განმავლობაში არ შეიძლება არ გახდეს წყაროდ მრავალის მათის ღირსებისა და ჩინებულად არ აღჭურვონ იგინი ცხოვრებისა და ბრძოლისათვის.

მაგრამ საქმე ის არის, რა დროიდგან ვიწყოთ გაგზავნა სტიპენდიატებისა? მხოლოდ იმ დროიდან, როდესაც ახლანდელს სააზნაურო სკოლას უზრუნველად ჰყოფენ სააზნაურო ბანკი თავისი წლიური მოგებით და სააზნაურო ქარვასლა თავისი შემოსავლით. მანამდინ - კი სარგებელი 100,000 და უ კ ვ დ ა ვ თ ა ნ ხ ი ს ა უნდა ხმარდებოდეს ამ სკოლას, რომელიც ერთის წლის შემდეგ სრულ რვაკლასიან გიმნაზიად შეიქმნება.

არც ერთი კეთილ-გონიერი კაცი არ დაიწყებს მეორე სახლის შენებას, თუ პირველი სახლი ვერ დაუმთავრებია ხელ მოკლეობის გამო.

მესამე სიკეთეც შეიძლება მოატანინოს თავად-აზნაურობამ ამ ფულსა. ეს სიკეთე იმაში მდგომარეობს, რომ რვა ათასი თუმანი ფული შეტანილ იქმნას სასარგებლოდ არა სხვა რომელსამე ბანკში არამედ ქართულს და ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ შ ი, რომელიც მკვიდრს საფუძვლზედ დგას და სარგებელსაც მეტს იძლევა. ეს ფული ხელს გაუშლის თვით ბანკსა, ახლა ძალაუნებურად ხელ-მოჭერილსა, და შეძლებას მისცემს უფრო მეტს გაჭირვებულს ქ ა რ თ ვ ე ლ მ ე უ რ ნ ე თ, მ ე ტ ა დ რ ე გ ლ ე ხ ე ბ ს გაუმართოს ხელი, ვიდრე აქამდინ უმართავდა.

მაგრამ საქმე ის არის რა სახით უნდა მოხდეს გადაცემა ამ ფულისა ბანკიდგან სააზნაურო სკოლის კომიტეტში?

ჩვენი აზრით, ყველას ის ემჯობინება, რომ რამდენმამე ბანკის დამფუძნებელმა შეადგინოს საერთო ქაღალდი ბანკის მართველობის სახელობაზედ, მასში განაცხადოს თავისი სურვილი, რომ მისაღები ფული გადაცემულ იქმნას სააზნაურო სკოლის კომიტეტში და ამ ქაღალდზე დამფუძნებელს მოაწერინოს ხელი. ქაღალდში

მოხსენებულ იქნება, რომ ეს ფული გადაეცემა კომიტეტს იმ პირობით, რომ მან ჯერ კიდევ მოიხმაროს სახლის აშენებაზე, მერე ისევ დაიბრუნოს, უკვდავ თანხად გადასდოს, შეინახოს ქართულს სამეურნეო ბანკში და მისის სარგებლით აღზარდონ სტიპენდიატები.

ამ სახით მოხმარებული ფული ემსგავსება იმ ლუკმას, რომელიც პატრონს პირიდან გაუვარდა, მაგრამ მისსავე ჯამში კი ჩავარდა. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ანდაზის ლუკმა ისევ ლუკმად დარჩა და რამდენსამე წამის უკან გაქრა, ეს ფული კი ყოველ წლივ ახალ-ახალს ნაყოფს გამოიღებს, გადაიქცევა დიდის სიკეთის დაუშრეტელ წყაროდ თავად-აზნაურობისა და მთელის ჩვენის ქვეყნისათვის. მთელის ჩვენის ქვეყნისათვის - მეთქი ვამბობ, იმიტომ, რომ სრული იმედია რომ ამ თანხის სარგებელს დამფუძნებელნი მთლად არ მისცემებ ვიწრო წოდებრივის დანიშნულებას, რადგანაც ამ ფულს ბანკის დაარსებითგანვე ჰქონდა უფრო სასიქადულო ფართო დანიშნულება და მისი სარგებელი, ბანკის წესდებით უნდა მოხმარებოდა როგორც მამულის მეპატრონეთ, ისე მხვნელ-მთესველთა (в пользу землевладельческого и земледельческого сословий, ნათქვამია წესდებაში).

მაგრამ თავად-აზნაურობამ არ უნდა იფიქროს, რომ ხსენებულის თანხის გადადებით დაკმაყოფილდება წყურვილი განათებისა. მისი სარგებლით შეიძლება ყოველ წლივ იზრდებოდეს მხოლოდ რამდენიმე სტიპენდიატი და ეს ხომ საკმარისი არ არის. რუსეთში თავად-აზანურობა ნივთიერულად არანაკლებს გაჭირვებაშია, მაგრამ მოზარდ თაობის მომავლისათვის - კი თავისს ღარიბ ჯიბეს ძალას ატანს. მაგალითად, მოსკოვის გუბერნიის თავად -აზნაურობამ კაი ხანია სასკოლო ხარჯი ნება-ყოფლობით დაიდო, ყოველ წლივ ჰკრეფს ფულსა, შეადგინა თანხა და ეს თანხა დღითი-დღე ჰმატულობს. ამჟამად სამოსწავლო თანხა მოსკოვის თავად-აზნაურობისა შეადგენს სამოცი ათას თუმანსა (600,000). ჩვენმა თავად-აზნაურობამაც უნდა მიჰბაძოს ამ ჩინებულს მაგალითს, მოიგონოს თავისი დადგენილება შესახებ სასწავლო ხარჯის გაწერისა თავის შორის და აღსრულებაში მოიყვანონ ეს სასიქადულო დადგენილება. უამისოდ არამც თუ ქართველ ქალთა ეროვნული განათლება დარჩება ოცნებად, თვით სავაჟო ჩვენი გიმნაზია კლდეზედ არ იქმნება აშენებული.

ყველა ის, რაც წინა და ვსთქვით, მიმართულია აღმოსავლეთის საქართველოს თავად-აზნაურობისადმი. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობას, მას ამ შემთხვევაში ბევრად მეტი კეთილი და საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეუძლიან იმ თანხით, რომელსაც მიიღებს ბანკიდან. ეს თანხა როგორც ვიცით, ერთი ხუთად მეტია აქაურზედ და ადის ნახევ მილიონამდინ. ამ ფულის სარგებელიც

მთელის ოცის წლის განმავლობაში ხმარდებოდა სავსებით და მთლიანად სწავლა-განათლების საქმესა, - და შემდეგშიაც ამას უნდა მოხმარდეს განუყოფელად. ეს ფული უნდა დაიდოს უკვდავ თანხად, რომლის სარგებელი ყოველ წლივ უნდა ემსახურებოდეს ცოდნის მოფენას. უკეთესი დანიშნულება მას ვერ მიეცემა.

იმერმა თავად-აზნაურობამ არ უნდა დაივიწყოს, რომ ხსენებული თანხის გადადება მთლად მათთვის ბევრად მეტ საჭიროებას შეადგენს, ვიდრე ამერ თავად-აზნაურობისათვის. აქაურებს აქვთ დიდი ბანკი, რომელიც დიდ მოგებას იძლევა სკოლის შესანახად, იქაური ბანკი კი, ავის მამინაცვლის წყალობით წარმოადგენს დალეულს, დაპატარავებულს და გამხდარს საკრედიტო დაწესებულებას, რომლის მცირე მოგება ახლანდელს პროგიმნაზიასაც ძლივს ინახავს. აქაურებს აქეთ მილიონად ღირებული ქარვალსა, რომელიც რვა-ცხრა წლის განმავლობაში მთლად გადაიხდის ბანკის ვალსა და თავის ვეებერთელა შემოსავალს, იმედია, მოახმარებს უმეტესად განათლების საქმესა. იქაურები კი ამისთანა ქონებას სრულიად მოკლებულნი არიან.

ამის გამო, თუ დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა თავის ბანკიდამ მისაღები ფული სავსებით და ხელუხლებით არ გადასდო, როგორც უკვდავი თანხა განათლების სასარგებლოდ, იგი არამც თუ ვერ მოესწრება თავის საკუთარს საქალო სასწავლებელს, რომელიც ისე საჭიროა, არამედ თვით ახლანდელი პროგიმნაზიაც გაირიყება, და ამითი დასავლეთი დიდი მანძილით ჩამორჩება აღმოსავლეთს, იმ აღმოსავლეთს, რომელსაც ოცი წლის წინად აშკარად აჯობა, რადგანაც, აქაური ათი ათასი თუმნის ნაცვლად, ნახევარ მილიონი ფული ამოიღო თავისი ღარიბის ჯიბიდან და დასდო საზოგადო საქმისათვის. მაშინ იმერებზედ აცხადდება ძველი თქმულება - „წინანანი უკანა და უკანანი წინაო“.

რათა თანხას პირდაპირი სარგებლის გარდა სხვა სიკეთეც მოვატანინოთ, საჭიროა ამითი დაარსდეს ახალი საკრედიტო დაწესებულება ქუთაისში, მაგალითად, სამეურნეო ბანკი, თბილისის ქართული სამეურნეო ბანკის მსგავსი, თანხა იმოდენაა, რომ ერთს კი არა, რამდენსამე ბანკს ეყოფა. ახლის ბანკების დაარსებით ადგილობრივი თავად-აზნაურობა გაიჩენს ახალს წყაროებს იაფის კრედიტისას, შექმნის ახალს ორგანოებს თვითმართველობისას, ახალს ცენტრს ქართული ცხოვრებისას და ადგილებს გაუჩენს განათლებულ ქართველებს, რომელთაც გული ერჯით საზოგადო სამსახურისათვის.

მაგრამ ეშველება კი რამე საზოგადოდ ჩვენ გაჭირვებულ თავად-აზნაურობას? ზოგიერთა ვაჟბატონთა აზრით, იგი მთლად და სავსებით დაცემულია, სიკვდილის

გზაზედ დგას, პირი სამარისაკენ უქნია, და მისი გამობრუნება რაიმე სასწაულით თუ მოხერხდება, თორემ ქვეყნიურნი ძალანი ვერას გააწყობენო. ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ეს აზრი მართალი იყოს. იმისთანა პატარი ერი, როგორიც არის ქართველობა, მხოლოდ მაშინ დაიცავს თავის არსებობას და უკან არ ჩამორჩება სხვა ერებს წარმატების გზაზე, როცა ყოველი მისი ნაწილი საღი და მომქმედი იქმნება. მარტო ერთს რომელსამე წოდებას ვერ ძალუძს გადაარჩინოს ჩვენი ქვეყანა დაცემას, დაჩაგვრას, მიწასთან გასწორებას. საჭიროა შეერთებული ძალა ყოველთა წოდებათა. ყოველი ვიწრო დოქტრინა, რომელიც ერის რომელსამე ჯგუფის მსხვერპლად ხდის დანარჩენს მის ნაწილებს, ჩვენთვის სწორედ საწამლავია. მომაკვდინებელი შხამია აგრეთვე გამწვავება ბრძოლისა წოდებათა შორის. ამ გამწვავებას მოყვება მომატებული დაუძლურება ჩვენის ერის ყოველის ნაწილისა, მთელის ჩვენის ქვეყნისა, წაგება საარსებო ბრძოლისა და გამარჯვება ჩვენზე ჩვენის მოცილეებისა, რომელნიც მტკიცედ არიან შეერთებულნი ეროვნულის დროშის ქვეშ და საერთოდ იბრძვიან. დამოუკიდებელ ქვეყნებში კლასთა და წოდებათა ბრძოლას მოსდევს უფლებისა და ქონების გადასვლა ერის ერთის ნაწილიდან იმავე ერის მეორე ნაწილის ხელში, და ქვეყანა ამით არას კარგავს. ჩვენში კი შინაურის ბრძოლის გამწვავებას მოჰყვება ის სავალალო შედეგი, რომელიც დაემართა ორის მოჩხუბარს მამლაყინწას გურამიშვილის პოემაში. ორივე მოქანცულნი მოჩხუბარნი, როგორც მოგეხსენებათ, ქორმა წააწიალა თავის ბუდეში გადასაყლაპავად.

„ჩვენ ისე მცირენი ვართ რიცხვით, რომ საზარელს კაცის მკვლელსაც კი უნდა ვაპატიოთ და მივანიჭოთ სიცოცხლეო“, თქვა ნახევარი საუკუნის წინედ უნგრეთის გამოჩენილმა პატრიოტმა სეჩენიმ, რომელიც სხვა მამულიშვილებთან ერთად ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ ერთის დროში ქვეშ შეეერთებინა ყველა კლასი, ყველა წოდება თავისი ქვეყნისა, და საერთო ძალით ებრძოლნათ სამშომბლოს დაცვისა და მომავლისათვის. და რა შედეგი მოჰყვა ამ ფართო ეროვნულ მიმართულებას, ამის პასუხს იძლევა ახლა გაძლიერებული, აყვავებული და იმედით სავსე უნგრეთი. ჩვენში - კი მზათ არიან ერთის კალმის მოსმით გააუქმონ მთელი წოდება, გაანახევრონ ჩვენი ქვეყანა, უიმისოდაც პატარა და ადვილად გადასაყლაპავ ლუკმად გადააქციონ. შორს მჭვრეტელებაც ამასა ჰქვიან.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ რომელი დროშის, რომელი ბაირაღის ქვეშ უნდა მოხდეს ეროვნული შეერთება ქართველ წოდებათა? რასაკვირველია ამ დროშად უნდა გახდეს პრინციპი შრომისა, ის პრინციპი რომლის გარეშე ჩვენს დროში არც ერთს წოდებას სიცოცხლე და წარმატება არ შეუძლიან, მაგრამ განა შესაძლებელია

ესა? არამც თუ შესაძლებელია, ნამდვილ ფაქტსაც შეადგენს არამც თუ ეხლა, არამედ კაი ხანია.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩვენებური მაღალი წოდება შესდგება თავადებისა და აზნაურებისაგან. ამასთან აზნაურობა ერთი ათად და ოცად მეტია თავადობაზე. რითი ცხოვრობს ახლა ჩვენი აზნაურობა? უმეტეს ნაწილად, თავისი მარჯვენით, თავისი ოფლით. აზნაურები ჩვენში თავისი ხელით ხვნენ, სთესვენ, ფარცხავენ, მკიან, ლეწენ, ყელენ ვენახებსა და აკეთებენ ყოველგვარ სამეურნეო საქმესა. ისინი გლეხებს ჯაფასა და შრომაში სრულიად არ დაუვარდებიან. ქალაქებშიაც ბოლო წლებში დღითი დღე მრავლდება რიცხვი ქართველის ხელოსნებისა, დაბალი ტექნიკოსებისა, ვაჭრებისა. რომელ წოდებას ეკუთვნიან ესენი? ამავე აზნაურთა წოდებას უმეტესობით. ჩვენ დროში აზნაურები მხოლოდ იმითი განირჩევიან გლეხებისაგან, რომ თავის ადამიანურ ღირსებას უკეთ იცავენ. ასე, რომ ჭეშმარიტებას იოტის ოდენად არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი მრავალ რიცხოვანი აზნაურობა წარმოადგენს არა ნაკლებ საღს წოდებას, ვიდრე გლეხობა.

სამწუხაროდ თავადობაზედ საზოგადოდ ეს არ ითქმის. უმეტეს ნაწილად იგი სრულიად მოშორებულია შრომის პრინციპს, უსაქმობაში არის ჩაფლული, სცხოვრობს ფეოდალური ტრადიციებით და გადაბირების გზას ადგია. მეტადრე მსხვილი თავადიშვილობა მოგვაგონებს იმ ბურბონებსა, რომელთაც ვერაფერი ვერ დაივიწყეს, ვერაფერი ვერ ისწავლეს, დარჩნენ ძველის პრინციპების ნაკლულების ამარა და თავი დაიღუპეს. ჩვენი მსხვილი თავადები, თითო ოროლას გარდა, თვითონ არაფერს აკეთებენ, ცხოვრება კი მდიდრული უყვართ. ამის გამო, მამა - პაპეული უძრავი თანხა - დედულ-მამული თანდათან ხელიდან ეცლებათ და შორს არ არი ის დრო, როდესაც სრულიად ცარიელი დაჯდებიან თავისი მიწა-წყლიდან. იმოდენი ადამიანობაც კი ვერ გამოუჩენიათ, რომ ეს მიწა-წყალი იმათთვის მიეყიდნათ ვისიც მამა-პაპა მრავლის საუკუნოების განმავლობაში ზედ აკვდებოდა აუარებელს მტრებს ამ მიწა-წყლის დასაცავად. ეს მიწა-წყალი, ჩვენდა სავალალოდ, გადადის სრულიად უცხო კაცთა ხელში და საუკუნოდ ეკარგება ჩვენს სამშობლო ქვეყანასა.

უბედურობა ამითი არა თავდება. ამ დამჭკნარს და გამხმარს ტოტებს ჩვენის ერისას, მათი სიმაღლის გამო, ყველა ხედავს, საღი დაბალი ტოტები, საღი ტანი და ფესვები თვალში არავის ეჩხირება, - ამით სარგებლობენ ჩვენი მტრები და მომაკვდავ ერად გამოყვევართ. ამ სახით, ეს მაღალი გამხმარი ტოტები მთელს ერს უტეხენ სახელს, მომაკვდავად გამოჰყავთ და ყვავ-ყორანს აჩხავლებენ ანდერძ ასაგებ კილოზე. ამიტომ, სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს ერთი ჩვენი სახელოვანი მწერალი, ჩამომავლობით დიდი ფეოდალი, მიმართულებით კი ეროვნული დემოკრატი,

როდესაც ამბობს: რაც უფრო გადაჰკაფავს ცხოვრების ჩარქი ამ გამხმარ ტოტებს მით უფრო სარგო იქნება ჩვენის ქვეყნისათვისაო.

ჩვენდა სანუგეშოდ, საქართველოში გაყვითლებულ - გამხმარ ფეოდალების რიცხვი მცირეა და მათი გამოკლება ცოცხალ ქართველთ რიცხვიდან დიდ ზიანს არ შეადგენს ქვეყნისათვინ, თუ სხვა წოდებანი აღიჭურვებიან ჭეშმარიტი განათლებით, შეერთდებიან ძმურად შრომის დროშის ქვეშ და მტკიცედ დაადგებიან ეროვნულის პროგრესის გზასა.

დასასრულ, ერთს წამს კიდევ დავუბრუნდეთ პირდაპირს საკითხს. ამ საკითხს ორი მხარე აქვს: უცვლელი და ცვალებითი. უცვლელი უნდა იყოს ის, რომ თბილისის და ქუთაისის სააზნაურო ბანკების დამფუძნებელთ არ უნდა გამოსწირონ მისაღები ფული იმ წმინდა და საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც აქამდე ხმარდებოდა მისი სარგებელი მთელის ოცი წლის განმავლობაში, ე. ი. სწავლას და აღზრდას მოზარდი თაობისას - ვაჟებისას და ქალებისას. ეს დანიშნულება უნდა იყოს სამუდამო, შეურყეველი, უცვლელი, ფული უნდა გადიდოს უკვდავ თანხად და მხოლოდ მისი სარგებელი იხმარებოდეს. რაც შეეხება მას, თუ როგორ ასარგებლონ ეს თანხა, რა გვარს სწავლას მოახმარონ მისი სარგებელი ან რომელ შტოს განათლებისა მისცენ უპირატესობა, ეს ცვალებითი მხარეა საქმისა და უნდა სწყდებოდეს მომენტის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

<u>ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადა</u>

ქ.ქუთაისის #7 საჯარო სკოლის პედაგოგმა **ზაირა ტყაბლაძემ**

9 აპრილი, 2020 წელი

#დარჩისახლში